

გამოქვეყნის თუ არა ფულის გათეთრება თავდაცვის სამინისტროში

გაზეთი “ახალი თაობა” – 19 ივნია, № 197, 2008

ინტერვიუ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდოთ რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულ ურთიერთობას?

– საკმაოდ დიდი ხანია, რაც რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა გვაქვს. უბრალოდ, ახლა ვითარება ძალზედაა გამწვავებული. ხანდახან მიკვირს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის დამოკიდებულება, რომ რაღაც “თვითგვემის” განცდით არის დაკავებული. ჩვენ, ქართველებს, როგორი შეცდომებიც არ უნდა გვქონდეს დაშვებული, ერთი რამ პრინციპულად უნდა გვახსოვდეს: ჩვენ კი არა ვართ რუსეთის ტერიტორიაზე შესულები და ჩვენ კი არ ვაკონტროლებთ რუსეთის რომელიდაც რეგიონს, არამედ რუსეთი აკონტროლებს საქართველოში ორ რეგიონს. ეს კონფლიქტები რუსეთის მიერ იყო პროვოცირებელი. ეკომომიკურად, მაშინაც კი, როცა აფხაზეთში ბლოკადა იყო, ის მაინც რუსეთთან იყო ინტეგრირებული. იმიტომ, რომ რუსული რუბლის სივრცეში იყო და იქ ბიუჯეტი რუბლებში დგებოდა. აფხაზეთის ოფიციალური ვალუტა ხომ უკვე კარგა ხანია რუბლია. ასე, რომ ეკონომიკურად აფხაზეთი ისედაც რუსეთთან იყო ინტეგრირებული. როცა ვაჭრობაში შეზღუდვები მოიხსნა, ინტეგრაციული პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა. ამიტომ ვიწყებ ამით, რომ მივმართავ ჩვენს თამამემამულებს: როგორი შეცდომაც არ უნდა დაგვეშვა ქართველებს, გნებავთ 20 წლის წინ, გნებავთ 10 დღის წინ, დღეს ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ კი არ დავივწყებთ იმას, რომ ჩვენ კი არა ვართ იმათ ტერიტორიაზე, არამედ პირიქით. პრაქტიკულად რუსეთი

დამპყრობელია. ეს რაც შეეხება პოლიტიკურ შეფასებას. სხვათა შორის, ამას აქვს მნიშვნელობა. რადგან არაერთი ქართველი დღესაც არასწორად აფასებს ვითარებას. თვალები უნდა გავახილოთ. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს სერიოზულ მტერთან. რუსეთი უბრალოდ ადარც მალავს, რომ ჩვენი მტერია. მე დადებითად ვაფასებ იმას, რომ რუსეთმა გააკეთა განცხადემა იმის შესახებ, რომ მან დაარღვია საქართველოს საპარეო სივრცე, ვითომ ქართველების შესაშინებლად. კარგია, რუსეთმა ეს აღიარება რომ გააკეთა. თუ ადრე რუსეთი თვალთმაქცობდა, რომ საქართველოს საპარეო სივრცე არ დაურღვევია და კომისიების შექმნა იყო საჭირო, ახლა ყველაფერი თავადვე აღიარა.

— ფაქტია, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს განცხადება შეგნებულად გააკეთა. რაში დასჭირდა რუსეთს დღეს ამის ღიად გაცხადება?

— რუსეთი მოქმედებს პრინციპით: “დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალი”. თანაც, რუსეთი გამოდის ამ პრინციპით: თუ აშშ ერევა ერაყის საქმებში და იქ სამხედრო ოპერაციებს ახორციელებს, ეს მეც შემიძლაო, მით უფრო, ეს ჩემი მოსაზღვრე ტერიტორიაა და ამ ტერიტორიაზე არის ორი რეგიონი, რომელთა მოქმედი ლიდერები აცხადებენ, რუსეთის შემადგენლობაში თუ არა, მისი პროტექტორატის ქვეშ ყოფნა მაინც გვინდაო. ამიტომ, როცა რუსეთი ამას აკეთებს, ეს არის დემარში მთელი მსოფლიოს და არა მარტო ქართველების წინაშე. ქართველები ამ შემთხვევაში მათვის მეორეხარისხოვანია. ეს არის დემარში საერთაშორისო სამართლის, გაეროს, ევროპისა თუ აშშ-ის წინაშე.

— ბატონო ლადო, რადგან დემარში ახსენეთ, ამ ყველაფერს ვერ ხვდებოდა საქართველოს ხელისუფლება, როცა ქვეყნის ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანეს ობიექტებს რუსეთის, ანუ მტრის ხელში აგდებდა?

— კარგი შეკითხვაა, მაგრამ მანამდე ამ ხელისუფლების ერთი პლუსი უნდა ვთქვა: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან მიმართებაში გადადგმულ ყველა ნაბიჯს არ ვამართლებ და ჩემი შენიშვნები მაქვს, თუნდაც ის, რომ არტიკულაციის დონეზე ეს არ უნდა ყოფილიყო შეურაცხმყველი, მაგრამ მიუხედავად ამისა, სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური გუნდის ყველაზე დიდი დამსახურება ისაა, რომ რუსულ აგრესიას ნიდაბი ჩამოხადა. რუსები

რომ აგრესორები იყვნენ, ამას ჩვენ დიდი ხნის მანძილზე ვიძახდით. უცხოელები ჩვენს ამ განცხადებაზე, უკეთეს შემთხვევაში, ზრდილობის გამო თუ დაგვიქნევდნენ თავს. მხოლოდ რამდენიმე საერთაშორისო ექსპერტი თუ იზიარებდა, რომ რუსები აგრესორები იყვნენ. დღეს მიღწევაა ის არის, რომ რუსეთმა უკვე თვითონ ადაიარა, რომ დაარღვია საქართველოს საპარო სივრცე, რომელსაც უკვე არანაირი კომისიის შექმნა ადარ სჭირდებოდა. გახსოვთ, როგორც წესი, ასეთი კომისია თავის დასკვნით მხარს უჭერდა ქართულ მხარეს, მერე რუსები იძახდნენ, რომ ეს არაობიუქტურია და საბოლოოდ ეს საკითხები იბლოკებოდა. ამიტომ ვამბობ, ამ მიმართულებით ქართული მხარის მიერ გადადგმული ნაბიჯები არის აბსოლუტურად სწორი. დღეს ჩვენ მთელი მსოფლიოს თვალში მართლები ვართ. საბოლოო ჯამში, რუსეთი დათმობს აფხაზეთს და სამხერეთ ოსეთს, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთი საერთოდ დათმობს საქართველოს. ეს უკვე ამ შემთხვევაში სინონიმებია. თუ რუსეთი შეეცდება გააგრძელოს ასეთი პოლიტიკა, ნებისმიერ შემთხვევაში დღეს ჩვენ მსოფლიო საზოგადოების წინაშე საერთაშორისო დონეზე ვართ ის სახელმწიფო, რომელიც რუსეთის აგრესიის ობიექტია. ახლა, რაც შეეხება ეკონომიკურ მხარეს. სწორედ ამ ფონზე არის ჩემთვის ყველაზე განსაკვიფრებელი ის, თუ რატომ არის მთავრობა ასე ჩატუტებული რუსელ კაპიტალთან. მხედველობაში რა მაქვს იცით? შევხედოთ რა რეალობაა: ელექტროენერგეტიკაში ძალიან ძლიერია რუსული კაპიტალი. მართალია, “რაოესი” ვარდების რევოლუციამდე შემოვიდა, მაგრამ ამის შემდეგაც ხომ შემოვუშვით ჩვენ არაერთი რუსული კომპანია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს ქვეყანაში არის რუსული სახელმწიფო ბანკი – “ვითიბი”. ნუ დაგვავიწყდება, რომ ოქროს და სპილენძს აკონტროლებს ასევე ცნობილი რუსული კომპანია “პრამიშლენი ინვესტორი”. ახლა, რამდენი ის კომპანიაა საქართველოში, რომელთა წარმომავლობა არ ვიცით. სულაც არ არის გამორიცხული, რომ რუსული კაპიტალი იყოს. დმერთმა დაგვიფაროს და ხვალ რომ მართლაც საომარი მოქმედებები დაიწყოს, ჩვენ ვაცნობიერებთ, როგორი იქნება “რაოესის” ქმედება თელასში?! როგორი იქნება “პრამიშლენელი ინვესტორის” ქმედება მაღნეულში, ან “ვითიბი”-ს ქმედება საბანკო სექტორში?

– ანუ ეკონომიკური ბლოკადის უნდა გვეშინოდეს?

– ეკონომიკური ბლოკადის კი არა, შეიძლება სერიოზული საბოტაჟის წინაშეც აღმოვჩნდეთ. იმიტომ, რომ თუ ასე დაიძაბა ქართულ-რუსული ურთიერთობები, კაცმა არ იცის, რა მოხდება. ფაქტია, როცა დიდია შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია, იქ ხანდახან “პოლის ჯოხიც” ისვრის. მერე ვერავინ გაარკვევს, პირველმა ვის ისროლა. ფაქტია, რომ ქვეყანაში დენოის სუნი ტრიალებს. საომარი მოქმედებები რომ დაიწყოს, რა ვიცით თუ ეს რუსული კომპანიები როგორ მოიქცევიან? რა უნდა ვქნათ, ნაციონალიზაცია მოვახდინოთ და გავყაროთ საქართველოდან? როგორ წარმოგიდგნიათ როგორ უნდა მივიქცეთ? შესაძლო ომის დროს ისინი რა უზრუნველყოფენ ელექტროენერგიის უწყვეტ მიწოდებას, თუ საბანკო სისტემის მუშაობას შეუწყობენ ხელს, ხოლო ოქროს და სპილენძის მოპოვება გაგრძელდება? გამორიცხულია, რომ რუსებმა საქართველოს ეკონომიკის გასაძლიერებლად იმოქმედონ. სწორედ ამიტომ იყო შეცდომა რუსული კაპიტალის ამ დოზით შემოშვება. თუმცა, ომს მე მაინც გამოვრიცხავ!

– რატომ, ფაქტობრივად, ომის ზღვარზეა ქვეყანა...

– ომი არც მოსკოვს, არც თბილისს აწყობს და არც სოხუმს უნდა აწყობდეს. კრემლს, პირველ რიგში იმიტომ, რომ აფხაზეთთან ახლოს – სოჭში უნდა გაიმართოს ოლიმპიური თამაშები. თუ საომარი პროცესი დაიწყო, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება და ოლიმპიური თამაშები სხვა სახელმწიფოში გადაიტანოს. ეს რუსეთის ინტერესებში არ შედის. ომი არ არის სოხუმის ინტერესშიც. იმიტომ, რომ აფხაზების რიცხოვნობა ისედაც ძალიან შემცირებულია. თუ ომი დაიწყება, ეს ხალხის ახალი მსხვერპლიცაა, ხოლო გადარჩენილთა ნაწილისათვის ფახაზეთის დატოვება. შედეგად აფხაზეთი აფხაზებისგან საბოლოოდ დაიცლება. ამიტომ, ვფიქრობ, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანები სოხუმში უნდა ფიქრობდნენ, რომ ომი სწორი გადაწყვეტილება არ იქნება. რაც შეეხება თბილისს, თბილისმა უნდა იფიქროს, რომ თუ საომარი მოქმედებები დაიწყო, არ შემოიფარგლება ეს მოქმედებები მარტო აფხაზეთის ტერიტორიით. დაბომბვის საფრთხე დაემუქრება ქუთაისს, თბილისს, რაზეც რუსები უკან არ

დაიხევენ! მგონი, თბილისშიც აცნობიერებენ, რომ ამ მცირე ზომის ქვეყანაში ასეთი ტიპის საომარი მოქმედება, ვერანაირად ვერ იქნება ლოკალური.

— ბატონო ლადო, იკვეთება საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოსვლებში, რომ რეალობის სირთულეს სრულყოფილად გრძნობენ?

— ვერ გეტყვით. ალბათ ჩვენს ხელისუფლებაშიც იქნებიან პიროვნებები, რომლებიც მზად არიან ხვალვე შეუდგნენ საომარ მოქმედებას. თუმცა ვფიქრობ, რომ ეს ფრთა ჩვენს ხელისუფლებაში ძლიერი რომ იყოს, საომარი მოქმედებები უკვე დაიწყებოდა. აქამდე რომ არ დაწყებულა, ეს იმედს მაძლევს, რომ იქ მაინც კონსტრუქციული შეხედულებების ხალხის ოდენობა დიდია. მით უფრო, დღეს კიდევ უფრო მეტად არ არის საჭირო საომარი მოქმედებები. რადგანაც საქართველოს ფაქტობრივად მთელი მსოფლიოს მხარდაჭერა აქვს. დღეს უკვე ყველასთვის ნათელია მთელ მსოფლიოში, რომ ეს არის ქართულ-რუსული კონფლიქტი. ჩვენს ხელისუფლებაშიც, ისევე როგორც ნებისმიერ ხელისუფლებაში არსებობს ომის პარტიაც და მშვიდობის პარტიაც. მშვიდობის პარტია უფრო ძლიერია და ამიტომაც არ დაწყებულა აქამდე ომი.

— რამდენად სწორად მოიქცა პარალენტი თავდაცვის დაფინანსება და სამხედრო კონტიგენტის გაზრდის გადაწყვეტილება რომ მიიღო?

— მე ამ გადაწყვეტილებას ვეთანხმები
— ზოგიერთი ოპოზიციონერი ფიქრობს, რომ თავდაცვის დაფინანსების გაზრდა, ფულის გათეთრების კარგი საშუალებაა?

— თავდაცვის ბიუჯეტთან დაკავშირებით, იცით, რომ შექმნილია ნდობის ჯგუფი. ცუდი იყო, რომ წინა პარლამენტში ამ ჯგუფში ოპოზიციის წარმომადგენელი არ იყო. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში შესყიდვების კანონმდებლობა ძალიან ცუდად მოქმედებს. ამას იმიტომ ვიძახი, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ თავდაცვის ყოფილ მინისტრს სწორედ ბრალად დასდეს ის, რომ შესყიდვებში საკმაოდ დიდი თანხები იყო გაფლანგული. თუ ეს პროცესი უკვე გამოსწორებულია, მაშინ ფულის გათეთრება თავდაცვის უწყებაში აღარ მოხდება.

– ასეთი ფაქტები ხომ არ არის კონტროლის პალატის, ანუ მთავრობის მაკონტროლებლის სუსტი მუშაობის შედეგი?

– კონტროლის პალატასთან დაკავშირებით გეტყვით: კონტროლის პალატამ რომ იმუშავოს ორ რამეზეა დამოკიდებული. პირველი – უნდა არსებობდეს ქვეყანაში პოლიტიკური ნება, რომ კონტროლის პალატა მუშაობდეს. მეორე – იქ უნდა იყვნენ მაღალპროფესიონალები. თუ ერთ-ერთი მაინც არ არის, მაშინ კონტროლის პალატა ვერ იმუშავებს. ერთადერთი ორგანო, რომელიც მუშაობს და რომელსაც ზემოდან ვერ მართავენ სახალხო დამცველის აპარატია. ხელისუფლება იძახის, მას რეფორმები არ შეხებიაო. პოლიტიკური ნება გამოიხატა კონტროლის პალატის მიმართ, რომ კონტროლის პალატა ყოფილიყო სუსტი და იქედან პროფესიონალები გაეყარათ. ერთ ამბავს გავიხსენებ: 2005 წლის ნოემბერში კონტროლის პალატა შევიდა გეგმიურ შემოწმებაზე თავდაცვის სამინისტროში. მინისტრმა შემმოწმებელთა ჯგუფი გამოყარა. მიუხედავად კონტროლოს პალატის იმდროინდებული ხელმძღვანელის დიდ მცდელობისა, როგორმე გეგმიური შემოწმება ჩაეტარებინა, მას ამის უფლება არ მისცეს. თუ იქნება პოლიტიკური ნება, რომ კონტროლის პალატა იყოს ძლიერი, იქნება ძლიერი. თუ ეს ნება არ იქნება, კონტროლის პალატა იქნება დაწმორებული.

– როგორ ფიქრობთ, ლევან ბეჟაშვილი დაჩმორებული კონტროლის პალატის თავმჯდომარე იქნება?

– არ ვიცი. მე მხოლოდ ის ვიცი, მისი წინამორბედი იყო უსუსური, რომელსაც დიდი არაფერი გაუკეთებია, გარდა იმისა, რომ თავის უწყებაში სპეციაკლებს დგამდა.

– ბატონო ლადო, საპარლამენტო ოპოზიციამ ფაქტობრივად დადებითად შეაფასა საპარლამენტო მოკლე პერიოდის მუშაობა. თქვენ რა შეფასებას მისცემდით?

– მე მაგალითად, ამ პარლამენტის წარმატებად მიმაჩნია ის, რომ პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება პყავდეს 9 ვიცე-სპიკერი. ახალი პარლამენტის წარმატებად მიმაჩნია ის, რომ გაგაწყვიტა, რომ თითოეულ კომიტეტს უნდა პყავდეს არა ორი მოადგილე, როგორც აქამდე იყო, არამედ –

სამი. ამ პარლამენტში, რომლის წევრთა რიცხვი არის 138, 80 დეპუტატი არის ან იქნება თანაბდებობაზე. ესეც წინგადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია. წარმატებად მიმაჩნია ის, რომ ბიუჯეტში შევიდა ცვლილება და პარლამენტის დაფინანსება გაიზარდა ლამის 1,5 მლნ ლარით. რა თქმა უნდა, 235 კაციან პარლამენტს უფრო ნაკლები ხარჯი ესაჭიროებოდა, ვიდრე 138 კაციან პარლამენტს. ჩვენი პარლამენტი აშკარად პროდუქტიულად მუშაობს!

შორენა კოწოდაშვილი